

- ✓ *თსუ-ს ბაკალავრიატში, ვაკანტურ ადგილებზე, მობილობის წესით ფაკულტეტის შეცვლის უფლებას მოიპოვებენ მხოლოდ ის სტუდენტები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.*
- ✓ *“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 52-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 სექტემბრის N725 ბრძანების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები მობილობის წესით ფაკულტეტის შეცვლის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტური ადგილების გადაჭარბებით.*

### არსებული ვაკანსიები:

[ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი](#)  
[ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი](#)  
[სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი](#)  
[ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი](#)  
[იურიდიული ფაკულტეტი](#)  
[მედიცინის ფაკულტეტი](#)

### ვადები:

- საბუთების მიღება – 2-6 აგვისტო
- კრედიტების აღიარება – 2-12 აგვისტო
- სტუდენტთათვის აღიარებული კრედიტების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება – 16-17 აგვისტო
- საბოლოო შედეგები – 18 აგვისტო

### საბუთების ჩამონათვალი:

1. განცხადება თსუ რექტორის სახელზე (განცხადების ფორმა ივსება საბუთების ჩაბარებისას ფაკულტეტზე);
2. ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან, რომელშიც მითითებული იქნება სტუდენტის მიერ გავლილი საგნების მოცულობა (სთ), მიღებული შეფასებები და მინიჭებული კრედიტები (ამონაწერი დამოწმებული იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდითა და ხელმოწერით).
3. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების სერტიფიკატის ასლი;
4. პირადობის მოწმობის ასლი;
5. 30-ლარიანი ქვითარი.

**საბანკო რეკვიზიტი:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. №1, სს "ბანკი რესპუბლიკა" ბანკის კოდი 220101757 GE 22 BR 000000000345634

(შენიშვნა: კონკურსის დამთავრების შემდეგ, კონკურსანტს წარმოდგენილი საბუთები უკან აღარ უბრუნდება).

### საბუთების მიღება იწარმოებს – 2 აგვისტოდან 6 აგვისტოს ჩათვლით 10 სთ-დან 17 სთ-მდე:

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – უნივერსიტეტის ქ. 2, თსუ (ბიოლოგების) XI კორპუსი, ოთახი №303.
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – ი. ჭავჭავაძის №36. თსუ V კორპუსი, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი.
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – თსუ VI კორპუსი, II სართული, ოთახი №202.
- ეკონომიკის ფაკულტეტი – უნივერსიტეტის ქუჩა №2, (მაღლივი) X კორპუსი, VI სართული, ოთახი №602.
- იურიდიული ფაკულტეტი – ი. ჭავჭავაძის №3, თსუ II კორპუსი, I სართული ფაკულტეტის კანცელარია.
- მედიცინის ფაკულტეტი – ი. ჭავჭავაძის გამზ. № 5, თსუ სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის /ყოფილი “ლეიკომბინატის”/ ტერიტორია, შესასვლელი ეზოდან.